# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №604

## 2017 წლის 29 დეკემბერი

## ქ. თბილისი

### სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

**მუხლი 1**

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განისაზღვროს შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV კოდები) მიხედვით კლასიფიკატორის კოდები (დანართი №1), რომელთა ფარგლებშიც, საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების, ასევე საქართველოს მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებს საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას.

**მუხლი 2**

ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული სუბიექტების გარდა:

ა) სხვა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, გარდა ამ მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციებისა, უზრუნველყონ ამ დადგენილების №1 დანართით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს მთავრობისათვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა;

ბ) მუნიციპალიტეტებმა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა უზრუნველყონ ამ დადგენილების №1 დანართით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა;

გ) მუნიციპალიტეტებმა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა (გარდა ქალაქ თბილისის, ქალაქ ბათუმის, შუახევის, ხულოს, ხელვაჩაურის, ქობულეთისა და ქედის მუნიციპალიტეტებისა და მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისა) ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულის გარდა, ასევე უზრუნველყონ ამ დადგენილების №2 დანართით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის დადგენილება №183 – ვებგვერდი, 18.04.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის დადგენილება №241 – ვებგვერდი, 23.05.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის დადგენილება №464 – ვებგვერდი, 13.09.2018წ.*

**მუხლი 2[1]**

ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლით განსაზღვრულმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა წინასწარი თანხმობის მისაღებად წარსადგენ ან ინფორმირების მიზნით გაგზავნილ დოკუმენტაციას უნდა დაურთონ:

ა) ბაზრის კვლევის ამსახველი ინფორმაცია ამავე დადგენილებით განსაზღვრული კლასიფიკატორის კოდში შემავალი შესყიდვის თითოეული ობიექტისათვის ცალ-ცალკე, რომელიც აერთიანებს მინიმუმ სამი პოტენციური მიმწოდებლის შეთავაზებას. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლების მინიმალური რაოდენობის გამოკითხვის შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესაბამის დოკუმენტაციაში (სამართლებრივი აქტის პროექტის განმარტებითი ბარათი/ინფორმაცია) უნდა დაასაბუთოს ბაზრის კვლევაში მინიმუმ სამი პრეტენდენტის მონაწილეობის შემაფერხებელი გარემოებები;

ბ) დაზიანებული/ამორტიზებული შესყიდვის ობიექტის შეცვლის მიზნით გამოსაცხადებელი

შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შემთხვევაში – კანონმდებლობით დადგენილი წესით მომზადებული დეფექტური აქტი/დასკვნა;

გ) ადმინისტრაციული შენობის აგების/ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების მიზნით გამოსაცხადებელი შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს ამ დადგენილების დანართებით განსაზღვრულ კლასიფიკატორის კოდებში შემავალი ობიექტების შესყიდვას, შესაბამისი შესყიდვის საჭიროება და მისი დასაბუთება.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის დადგენილება №464 – ვებგვერდი, 13.09.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის დადგენილება №502 – ვებგვერდი, 26.10.2018წ.*

**მუხლი $2^2$**

ამ დადგენილების პირველი მუხლითა და მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საქართველოს მთავრობისგან წინასწარი თანხმობის მისაღებად წარსადგენ ან საქართველოს მთავრობისთვის ინფორმირების მიზნით გაგზავნილ დოკუმენტაციას განიხილავს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც:

ა) (ამოღებულია - 26.10.2018, №502);

ბ) უფლებამოსილია, ფასების ადეკვატურობის დადგენის მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ტექნიკური ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნების კონკურენტუნარიანობის კვლევა;

გ) ინფორმირების მიზნით წარდგენილ დოკუმენტაციაზე გასცემს რეკომენდაციას (დადებითი, უარყოფითი ან შენიშვნებით), რომელიც არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის დადგენილება №502 – ვებგვერდი, 26.10.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის დადგენილება №464 – ვებგვერდი, 13.09.2018წ.*

**მუხლი 3**

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს, რომ ამ დადგენილების პირველ მუხლში მითითებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ამ დადგენილების №1 დანართით განსაზღვრული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების უფლება მიეცეთ მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის მიღების შემდგომ.
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის დადგენილება №241 – ვებგვერდი, 23.05.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის დადგენილება №464 – ვებგვერდი, 13.09.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის დადგენილება №502 – ვებგვერდი, 26.10.2018წ.*

**მუხლი 4**

ეს დადგენილება ვრცელდება ელექტრონული საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, გარდა:

ა) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვებისა;

ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების (დონორები) მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვებისა;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახსრებიდან განხორციელებული შესყიდვებისა;

დ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შესყიდვებისა;

ე) საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ განხორციელებული შესყიდვებისა;

ვ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული შესყიდვებისა.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის დადგენილება №464 – ვებგვერდი, 13.09.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის დადგენილება №502 – ვებგვერდი, 26.10.2018წ.*

**მუხლი 5**

საქართველოს მთავრობის მიერ წინასწარი თანხმობის გაცემის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი განსახილველად წარმოედგინება საქართველოს მთავრობას საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 6**

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

*დანართი №1*

| კოდი | დასახელება |
|---|---|
| 16100000 | სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დანიშნულების მანქანა-დანადგარები ნიადაგის მოსამზადებლად ან კულტივირებისათვის |
| 16300000 | მოსავლის ასაღები მანქანები |
| 16500000 | ავტომტვირთველი ან თვითმცლელი ტრაილერები და ნახევარტრაილერები<br><br>სოფლის მეურნეობისათვის |
| 16600000 | სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო დანიშნულების მანქანა-დანადგარები |
| 16700000 | ტრაქტორები |
| 30200000 | კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები |
| 31100000 | ელექტროძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები |
| 32200000 | რადიოტელეფონის, რადიოსატელეგრაფო, რადიო და ტელემაუწყებლობის აპარატურა |
| 32300000 | ტელე და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა |
| 32400000 | ქსელები |
| 34100000 | ავტოსატრანსპორტო საშუალებები |
| 34200000 | სატრანსპორტო საშუალებების ძარები, მისაბმელები ან ნახევრადმისაბმელები |
| 35410000 | ჯავშნიანი სამხედრო მანქანები |
| 37300000 | მუსიკალური ინსტრუმენტები და ნაწილები |
| 39100000 | ავეჯი[1] |
| 39700000 | საოჯახო ტექნიკა1 |
| 42400000 | ამწე და გადასაზიდი მოწყობილობები და მათი ნაწილები |
| 42511000 | სითბოგაცვლითი დანადგარები და ჰაერის ან სხვა გაზების გასათხევადებელი მოწყობილობები |
| 42512000 | ჰაერის კონდიცირების საშუალებები |
| 42900000 | სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარები |
| 43100000 | სამთო მანქანა-დანადგარები |
| 43200000 | მიწის სათხრელი და სახაპავი მანქანები და მათი (მათთან დაკავშირებული) ნაწილები |
| 43300000 | სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები |
| 43500000 | მუხლუხა სატრანსპრტო საშუალებები |
| 48100000 | პროგრამული უზრუნველყოფის სამრეწველო პაკეტები |

| | |
|---|---|
| | |
| 48200000 | ქსელების, ინტერნეტისა და ინტრანეტის პროგრამული პაკეტები |
| 48500000 | საკომუნიკაციო და მულტიმედიის პროგრამული პაკეტები |
| 48600000 | მონაცემთა ბაზისა და ოპერაციული პროგრამული პაკეტები |
| 48800000 | საინფორმაციო სისტემები და სერვერები |
| 48900000 | სხვადასხვა სახის პროგრამული პაკეტები და კომპიუტერული სისტემები |

---

[1] იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კოდით განხორციელებული/განსახორციელებელი შესყიდვის მთლიანი ღირებულება საბიუჯეტო წლის განმავლობაში აჭარბებს 10 000 ლარს.

*დანართი №2*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის დადგენილება №241 – ვებგვერდი, 23.05.2018წ.*

| კოდი | დასახელება |
|---|---|
| **45100000** | ადგილის/სამშენებლო მოედნის მოსამზადებელი სამუშაო |
| **45200000** | სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები |
| **45300000** | სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები |
| **45400000** | შენობის მოწყობის სამუშაოები |
| **71200000** | არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები |
| **71300000** | საინჟინრო მომსახურებები. |